ამიტომ, კონდიციონერის მომსახურებისას, პირველ რიგში, საჭიროა მისი ჰაერის სისტემის ანტიბაქტერიული დამუშავება სპეციალური ანტისეპტიკური ხსნარებით, რაც სამწუხაროდ, ხელსაწყოთა პანელის მოხსნის და სრული დაშლის გარეშე რთულია, ზოგჯერ კი საერთოდ შეუძლებელი. ამავდროულად, წელიწადის ცივ პერიოდში, ჰაერის სისტემის დაბინძურების დროს, ზოგჯერ მცირდება გამათბობელის მუშაობის ეფექტურობა, ვინაიდან ბევრ ავტომობილში ჰაერი, სალონში მოხვედრისას, ჯერ ჰაერის სისტემას გადის, შემდეგ კი გამათბობელს. თურმე, კონდიციონერი ხშირად წყვეტს მუშაობას იმის გამო, რომ არასწორად შეაკეთეს. ამ შედეგების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა კონდიცირების სისტემის ანტიბაქტერიული დამუშავება, სპეციალური ანტისეპტიკური ხსნარებით და შესაბამისი აპარატით, უსაფრთხოების წესების და ტექნიკური მოთხოვნების დაცვით.

კონდიციონერის ჰაერის სისტემის პერიოდულად გაწმენდის გარეშე თქვენი ავტომობილი და მასში დაგროვილი უსიამოვნო სუნი, სოკო და მიკრობები, საფრთხეს შეუქმნის თქვენს და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კონდიციონერის ჰაერის სისტემის გაწმენდა იმ ავტომობილებში, რომლებითაც ხშირად მგზავრობენ პატარები.

სწორედ ამიტომ, „თეგეტა მოტორსმა" პირველმა შემოიტანა საქართველოში სპეციალური აპარატურა, რომლის მეშვეობითაც ხდება კონდიცირების სისტემის გაწმენდა მავნე მიკრობებისგან. შესაბამისად, იონიზაციის სერვისით სარგებლობა უკვე შესაძლებელია „თეგეტა მოტორსის" ვაკის ფილიალში. მომსახურება დაახლოებით 20-25 წუთს გრძელდება და 30-დან 40 ლარამდე ჯდება. იონიზაციის სერვისი, რომელიც მხოლოდ „თეგეტა მოტორსის" ვაკის ფილიალშია ხელმისაწვდომი, სპობს კონდიციონერის ჰაერის სისტემის არხებში ალერგიულ მიკრობებს, სოკოს ბაქტერიებს და ასუფთავებს ჰაერს; აქრობს ავტომობილის სალონში უსიამოვნო სუნს, მათ შორის თამბაქოს სუნსაც და თქვენ მაშინვე იგრძნობთ სუფთა და არომატული ჰაერის ნაკადს.

ღირს თუ არა კონდიციონერის სისტემის ანტიბაქტერიული დამუშავება იონიზაციის სერვისით და სალონის ფილტრის გამოცვლა, რა თქმა უნდა, თქვენი გადასაწყვეტია, თუმცა, თუ თქვენ ზრუნავთ საკუთარი და ოჯახის წევრების ჯანმრთელობაზე, ამ პროცედურის ჩატარებას 6 თვეში ერთხელ, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ მაინც გირჩევთ.

# A NEW SERVICE CENTER particularly for automobiles with diesel engines

Tegeta Motors started the constructions of a new service center several months ago. It is intended particularly for automobiles operating on diesel engines. This is the first service center of its kind in all of South Caucasus and it will be providing service from September.

Until then Tegeta Motors has to go through some of the very complex critical stages of the construction process. The service center will be multi-brand and unite the following companies: Bosch, Denso, DELPHI and VDO Diesel. These are the four leading companies on the world market and thus, in Georgia as well. The center is intended for passenger cars and trucks, as well as special equipment.

Once the service center is complete it will have to pass authorization with the brand representatives. Design, decorations, colors, equipment, original stands, building and quality – these are the few examples on the checklist to receive authorization. The so-called "cleanroom" where the diesel fuel system aggregates are protected from dust particles during the repairs is also very important. Cleanness is such a priority here that each of the equipment elements require particular selection: napkins, special clean shoes, ventilation system...

The service center will comply all international standards. The technical personnel will undergo relevant qualifications in Georgia as well as abroad.

Tegeta Motors takes care of its customers and is always ready to provide them world-class service.

## ახალი სერვისცენტრი სპეციალურად დიზელის ძრავის მქონე ავტომობილებისთვის

**რამდენიმე თვის წინ** „თეგეტა მოტორსმა" ახალი სერვისცენტრის მშენებლობა დაიწყო, რომელიც სპეციალურად დიზელზე მომუშავე ავტომობილებისთვისაა განკუთვნილი. მსგავსი სერვისცენტრი მთელ ამიერკავკასიაში პირველია და სექტემბრიდან უკვე შეძლებს მომსახურების გაწევას.

მანამდე კი, „თეგეტა მოტორსს" მშენებლობის რთული და საპასუხისმგებლო ეტაპების გავლა უწევს. სერვისცენტრი მულტიბრენდული იქნება და შემდეგ ბრენდებს გააერთიანებს: Bosch, Denso, DELPHI და VDO Diesel. სწორედ ეს ოთხი კომპანია ლიდერობს მსოფლიო ბაზარზე და, შესაბამისად, საქართველოშიც. ცენტრი განკუთვნილია მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებისთვის, ასევე, სპეც-ტექნიკისთვის.

მას შემდეგ, რაც სერვისცენტრი აშენდება, მას ავტორიზაციის გავლა უშუალოდ ბრენდების წარმომადგენლებისგან მოუწევს. დიზაინი, გაფორმება, ფერები, აღჭურვილობა, ორიგინალი სტენდები, შენობა და ხარისხი ეს ყველაფერი იმ პუნქტების მინიმალური ჩამონათვალია, რომელიც ავტორიზაციის მიღებისთვისაა საჭირო. ასევე, მნიშვნელოვანია ე.წ. „სუფთა ოთახი", სადაც ხდება ავტომობილის დიზელის საწვავის სისტემის აგრეგატების შეკეთების დროს მტვრის ნაწილაკებისგან დაცვა. აქ სისუფთავე იმდენად მნიშვნალოვანია, რომ აღჭურვილობის თითოეული ელემენტი საჭიროებს განსაკუთრებულ შერჩევას: ხელსახოცი, სპეციალური სუფთა ფეხსაცმელი, სავენტილაციო სისტემა...

სერვისცენტრი დააკმაყოფილებს ყველა საერთაშორისო სტანდარტს.ტექნიკური პერსონალი შესაბამის კვალიფიკაციას საქართველოში და საზღვარგარეთ გაივლის.

„თეგეტა მოტორსი" ზრუნავს საკუთარ მომხმარებელზე და მუდამ მზადაა, მას მსოფლიო დონის მომსახურეობა შესთავაზოს.






☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
It`s Time To Choose Quality...

# EUROPEAN BANK for RECONSTRUCTION a **22 MILLION USD** credit

22 million US dollars and a contract reflecting a successful period in Tegeta Motors' performance and kicking off the countdown for a new project. The director of the Europe Bank for Reconstruction and Development (EBRD) Paul-Henri Forestier visited Tegeta Motors head office. This visit turned out to be rather fruitful. In partnership with TBC Bank, Tegeta Motors, the leading universal company in the field of automobiles signed a contract with the world's largest bank – EBRD. This contract implies a credit of 22 million US dollars.

Tegeta Motors has been monitoring and following the development of modern technologies step-by-step in cooperation with TBC Bank for many years now. Automobiles on the Georgian market are equipped with modern technological systems and keeping them in tact requires a particular service. The company has already started working on a new project – building a diesel service center.

The new service center will be built in compliance with Western standards

## ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა თეგეტა მოტორსს **22 მლნ აშშ დოლარის** კრედიტი გამოუყო

**22 მილიონი აშშ დოლარი** და ხელშეკრულება, რომელმაც „თეგეტა მოტორსის" საქმიანობაში წარმატებული დრო დააფიქსირა და მომავლის პროექტისთვის ათვლაც დაიწყო. კომპანია „თეგეტა მოტორსის" სათაო ოფისს, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის დირექტორი, პოლ ჰენრი ფორესტიერი სტუმრობდა. მისი ვიზიტი  მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა. 27 მაისს „თიბისი ბანკთან" პარტნიორობით, „თეგეტა მოტორსმა", საქართველოში წამყვანმა უნივერსალურმა კომპანიამ საავტომობილო დარგში, ხელშეკრულება მსოფლიოში უმსხვილეს ბანკთან, EBRD-თან გააფორმა. აღნიშნული ხელშეკრულება 22 მილიონ აშშ დოლარის საკრედიტო რესურსს გულისხმობს.

„თეგეტა მოტორსი" უკვე მრავალი წელია, „თიბისი ბანკთან" თანამშრომლობით თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას თვალყურს ადევნებს და ფეხდაფეხ მიჰყვება. ავტომობილები, რომლებიც ქართულ ბაზარზე შემოდის, თანამედროვე ტექნოლოგიური სისტემებითაა აღჭურვილი, შესაბამისად, მათი გამართულობისთვის აუცილებელია სერვისი, რომელიც ამ პრობლემას გადაჭრის. კომპანია უკვე დაიწყო ახალ პროექტზე, კონკრეტულად კი დიზელის სერვისცენტრის მშენებლობაზე მუშაობა.

ახალი სერვისცენტრი დასავლური სტანდარტების გათვალისწინებით აშენდება და მთლიანად თანამედროვე,



# and DEVELOPMENT has allocated for TEGETA MOTORS

and equipped entirely with modern high-tech devices. The staff will undergo qualifications abroad before they start working at Tegeta Motors service center.

For the first time in all of South Caucasus, there will be a licensed service center in Georgia with the capacity to fix all diesel operated engines. The construction works have already begun and the center will be opened by Autumn.

**GIORGI MSHVILDADZE:** "We had the idea of opening a new diesel service center based on demand on the Georgian market. We had been working on this issue for years and I am very happy that this will be a unique service center within the region. We are planning to cooperate with the Europe Bank for Reconstruction and Development in the future as well. We have many plans and future projects to implement."

**PAUL-HENRI FORESTIER:** "I think this was a very important day for Tegeta Motors, TBC Bank and EBRD. We see that this successful company, Tegeta keeps growing and increasing finances. Georgia is a developing region and Tegeta Motors




მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღიჭურვება. მასში დასაქმებული კადრები კვალიფიკაციას უცხოეთში აიმაღლებენ და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებენ მუშაობას „თეგეტა მოტორსის" დიზელის სერვისცენტრში.




პირველად, მთელ ამიერკავკასიაში, მხოლოდ საქართველოში იქნება ლიცენზირებული სერვისცენტრი, რომელიც შეაკეთებს დიზელზე მომუშავე ყველა ტიპის ძრავას. მშენებლობა უკვე დაწყებულია და სერვისცენტრი შემოდგომაზე გაიხსნება.

**გიორგი მშვილდაძე:** „ახალი დიზელის სერვისცენტრის გახსნის იდეა ქართულ ბაზარზე მოთხოვნიდან გამომდინარე გაგვიჩნდა. წლების განმავლობაში ვმუშაობდით ამ საკითხზე და მიხარია, რომ ახალი სერვისცენტრი რეგიონის მასშტაბით ერთადერთი იქნება. ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან თანამშრომლობას სამომავლოდაც ვაპირებთ. ჩვენ უამრავი პროექტი და სამომავლო გეგმა გვაქვს, რომელიც უახლოეს წლებში გვინდა რომ განვახორციელოთ".

**პოლ ჰენრი ფორესტიერი:** „მე ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი დღე იყო, როგორც „თეგეტა მოტორსისთვის", ისე „იბიარდისთვის", „თიბისისთვისაც". ვხედავთ, რომ ძალიან წარმატებული კომპანია, „თეგეტა" იზრდება და ზრდის ფინანსებს. საქართველო მზარდი რეგიონია, „თეგეტა მოტორსი" გაზრდაზე ორიენტირებული წარმატებული კომპანიის შესანიშნავი მაგალითია. მათთან თანამშრომლობას მომავალშიც გავაგრძელებთ და ვუსურვებ წარმატებებს".

is a wonderful example of a company focused on development and growth. We will be cooperating in the future and I would like to wish them success."

The first ever licensed diesel service center will be equipped with devices from Bosch, Denso, Siemens and other leading companies. Manufacturers will install the devices themselves and arrange testings.

Europe Bank for Reconstruction and Development provided 22 million US dollars. Other than the construction of the service center, the credit will be used to refinance existing Tegeta Motors liabilities. Based on the EBRD credit Tegeta Motors also proved its high credit quality. Receiving credit resources and refinancing for new projects under better conditions.



**ZVIAD CHACHANIDZE:** "Our new project is unique. This will be the first certified diesel service center in Georgia. TBC Bank has been our reliable partner since 2008 and I think the service center will turn out to be a rather successful project once it is completed and launched."

**VAKHTANG BUTSKHRIKIDZE:** "We have been cooperating with Tegeta Motors for a long time now. This makes a great example of how a company and a bank can cooperate. I remember when we started off there was just one Tegeta Motors store operating... Today Tegeta is one of the leading companies on the Georgian market. It develops rather dynamically; the management is always in search for novelties to provide the Georgian customers with."

Tegeta Motors has many future plans. Once the diesel service center is completed, the company will start working on growth. There will be service centers in Georgia, as well as beyond the country. We would like to remind you that the company has already gone beyond the borders opening a service center in Armenia. Construction works for the diesel service center will be completed in 3 months.

პირველი ლიცენზირებული დიზელის სერვისცენტრის ობიექტი „ბოშის", „დენსოს", „სიმენსის" და სხვა წამყვანი კომპანიების აპარატურით აღიჭურვება. მწარმოებლები თავად დაამონტაჟებენ დანადგარებს, რის შემდეგაც მათი ტესტირება მოხდება.

22 მილიონი აშშ დოლარი, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა გამოყო. ეს თანხა სერვისცენტრის მშენებლობის გარდა კომპანია „თეგეტა მოტორსის" არსებული ვალდებულებების რეფინანსირებას მოხმარდება. EBRD ისგან გაცემული კრედიტის საფუძველზე „თეგეტა მოტორსმა" დაამტკიცა მისი მაღალი საკრედიტო ხარისხიც. უკეთესი პირობებით მიიღო საკრედიტო რესურსი და რეფინანსირება ახალი პროექტისათვის.



**ზვიად ჩაჩანიძე:** „უნიკალური გახლავთ ჩვენი ახალი პროექტი. ეს იქნება პირველი სერტიფიცირებული დიზელის სერვისცენტრი საქართველოში. 2008 წლიდან ჩვენი საიმედო პარტნიორია „თიბისი ბანკი" და ვფიქრობ, რომ კომერციულად საკმაოდ წარმატებული პროექტი გამოვა როდესაც დასრულდება და ამუშავდება ახალი სერვისცენტრი."

**ვახტანგ ბუცხრიკიძე:** „თეგეტა მოტორსთან" ჩვენ უკვე დიდი ხანია, ვთანამშრომლობთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს კარგი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება, კომპანიამ და ბანკმა ითანამშრომლონ. მახსოვს, როდესაც კომპანიამ საქმიანობა დაიწყო, „თეგეტა მოტორსის" მხოლოდ ერთი მაღაზია არსებობდა... დღეს კი ის ქართული ბიზნესის ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა საქართველოში, რომელიც რეგიონში საკმაოდ დინამიკურად ვითარდება. ისინი ყოველთვის სიახლეებს ეძებენ და სთავაზობენ ქართველ მომხმარებელს."

„თეგეტა მოტორსს" სამომავლო გეგმები მრავლად აქვს. დიზელის სერვისცენტრის მშენებლობის დასრულების შემდეგ კომპანია გაფართოებაზე ფიქრს დაიწყებს. სერვისცენტრები იქნება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. შეგახსენებთ, რომ კომპანია უკვე გასცდა საქართველოს საზღვრებს და თანამედროვე სერვისცენტრი სომხეთშიც გახსნა. დიზელის სერვისცენტრზე მუშაობა 3 თვეში დასრულდება.

PHOTOS Tegeta Motors archive




Hankook
driving emotion

☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
It`s Time To Choose Quality...

# To own a Ca

Cadillac is one of the most distinguished automobiles. It is a car with a great history and past. It stands an honorable place among the oldest automobiles in the world: second oldest in America; Buick is three years older than Cadillac.

## გყავდეს
## კადილაკი



Cadillac SRX
Crossover

# dillac



Cadillac supplies 37 countries across the world with China being the second best destination of sales after North America. SRX Crossover has been the most highly demanded Cadillac model since 2010.

This is an automobile for those to who comfort and speed is as important as the design – always modern and distinctive.



### HISTORY

In 1902 Henry Ford and his partners separated from the company. The remaining board members asked Henry Leland for help. This is how the company manufacturing the world-famous automobile was founded. Henry Leland called the company Cadillac to honor Antoine Laumet




**ავტომობილებს** შორის ერთ-ერთი გამორჩეული „კადილაკია“ – მანქანა დიდი ისტორიითა და წარსულით. მას საპატიო ადგილი უჭირავს მსოფლიოში უძველეს ავტომობილების ბრენდებს შორის. ამერიკაში კი რიგით მეორეა. Buick-ი სამი წლით მასზე უფროსია.

„კადილაკი“ მსოფლიოს გარშემო 37 ქვეყანას ამარაგებს ავტომობილებით. ჩრდილოეთ ამერიკის შემდეგ, ყველაზე მეტი გაყიდვა მას ჩინეთში აქვს. 2010 წლიდან კი „კადილაკის“ ყველაზე მოთხოვნადი მოდელი „SRX crossover“-ია.

ეს არის ავტომობილი მათთვის, ვისთვისაც კომფორტი და სისწრაფე ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ავტომობილის დიზაინი - მუდმივად თანამედროვე და გამორჩეული.

### დაარსების ისტორია

1902 ჰენრი ფორდი და მისი პარტნიორები კომპანიას გამოეყვნენ. საბჭოს დარჩენილმა წევრებმა კი ინჟინერ ჰენრი ლელანდს სთხოვეს დახმარება. ასე დაარსდა კომპანია, რომელმაც მსოფლიოში ცნობილი ავტომობილის წარმოება დაიწყო. ჰენრი ლელანდმა სახელი „კადილაკი“ Antoine Laumet de La Mothe, sieur de Cadillac-ის პატივსაცემად

Cadillac SRX interior



დაარქვა. ეს იყო პიროვნება, რომელმაც 1701 წელს ქალაქი დეტროიდი დააარსა. რამდენიმე წელში, როცა „კადილაკი" უკვე პოპულარული ავტომობილი იყო, ის General Motors-მა შეიძინა. ჰენრი ლელანდს, გამჭრიახ და გამოცდილ მექენიკოსს სულ რაღაც 6 წელი დასჭირდა იმისთვის, რომ ახლადდაარსებული კომპანიით ამერიკული ბაზარი დაეპყრო, ბაზართან ერთად კი General Motors-ის გულიც. რაც შეეხება General Motors-ს, კომპანიის მესვეურებმა თავიდანვე დასახეს მიზნად, რომ ეს საოცარი ავტომობილი გამხდარიყო მათი სავიზიტო ბარათი, მაღალი კლასის ავტომობილებს შორის.

„კადილაკი" პირველი ამერიკული ავტომობილია, რომელმაც 1908 წელს ინგლისის სამეფო ავტომობილების კლუბის მიერ დაწესებული Dewar Trophy მოიპოვა. პრიზი განმეორებით 1912 წელსაც მიიღო.

ჰენრი ლელანდმა სახელი „კადილაკი" Antoine Laumet de La Mothe, sieur de Cadillac-ის პატივსაცემად დაარქვა. ეს იყო პიროვნება, რომელმაც 1701 წელს ქალაქი დეტროიდი დააარსა.

de La Mothe, sieur de Cadillac who founded the city of Detroit in 1701. In several years, when Cadillac had become popular, General Motors bought took over it. It took Henry Leland, a smart and experienced mechanic 6 years to conquer the US market and the heart of General Motors along with it. As of General Motors, the company leaders aimed to make this wonderful automobile their main representation among high class automobiles.

Cadillac is the first American automobile to win the Dewar Trophy donated by the Royal Automobile Club of England in 1908 and for the second time in 1912.

## THE FIRST CADILLAC

Runabout and Tonneau was the first automobile dated back to 1902. The first model was referred to as the





Cadillac Model A
Runabout
1902-03



Cadillac Model 30
Demi-Tonneau
1910



Cadillac Series 75
Convertible Coupe
1940



Cadillac Series 62
Convertible Coupe
1950



Cadillac Seville
1980



Cadillac
Fleetwood
1990

On February 27, 1911 Cadillac introduces the self-starter, invented by Clyde Coleman in 1899 but perfected by Charles Kettering

1911 წლის 27 თებერვალს „კადილაკმა“ წარმოადგინა ამძრავი, რომელიც 1899 წელს კლაიდ კოლმანმა გამოიგონა და შემდეგ გააუმჯობესა ჩარლზ კეტერინგმა


Cadillac Model 59 Victoria 1920


Cadillac Series 452a V16 1930


Cadillac Convertible 1960


Cadillac Deville Convertible 1970


Cadillac Escalade 2000


Cadillac XTS 2013

"horseless carriage" and it really did resemble one. It had a single-cylinder engine. There were several models of Runabout and Tonneau and their visual side was the main difference between them.

## A TWENTY FIRST CENTURY CADILLAC

In the twenty first century the slogan of the automobile is: "Art and Science" and the latest models are

## პირველი კადილაკი

Runabout and Tonneau – ასე ერქვა ორადგილიან ავტომობილს, რომელიც 1902 წლით თარიღდება. „უცხენო ეტლი" ასე ეძახდნენ მის პირველ მოდელს; მსგავსება ეტლსა და მას შორის მართლაც რომ დიდი იყო. ავტომობილის ძრავა ერთცილინდრიანი იყო. Runabout and Tonneau-ს რამდენიმე მოდელი არსებობდა. ძირითადი განსხვავება, მხოლოდ ვიზუალში გახლდათ.

## ოცდამეერთე საუკუნის კადილაკი

ოცდამეერთე საუკუნეში ავტომობილის დევიზი ასე ჟღერს: „ხელოვნება და მეცნიერება". ბოლო მოდელებიც ამ




Pink Cadillac – the gift for his mother from Elvis Presley. 1955
ვარდისფერი კადილაკი – ელვის პრესლის საჩუქარი დედისთვის

დევიზის ვიზუალიზაციას წარმოადგენს. მკვეთრი და წმინდად გამოხატული ფორმები... ავტომობილი ერთ დიდ ფორმათა ლექსიკონს წარმოადგენს. მის შესაქმნელად საჭიროა მაღალტექნოლოგიური დიზაინი და დიზაინში ჩართული ტექნოლოგია.

## და ბოლოს

„კადილაკის" ისტორია არ არის ავტომობილისა და ადამიანის წინსვლისა და ერთობლივი „ცხოვრების" ამბავი. ეს უფრო ფილოსოფიაა. გყავდეს „კადილაკი" ბევრს ნიშნავს, იმაზე ბევრს, ვიდრე უბრალოდ ავტომობილის ყოლაა.




Cadillac Ciel Concept
2011

a complete visualization of these words. With sharp and clear forms this automobile is a one big vocabulary of forms. It takes a high-tech design and technology involved in design to create it.

## AND FINALLY,

The history of Cadillac is a story of how automobile and human develop and "live" together. It's more of a philosophy; it means a lot to own a Cadillac, much more than to just own a car.

The Cadillac World Thorium Fuel concept is a design study for a futuristic vehicle powered by a nuclear powetrain and built to last 100 years without any maintenance. The author is designer Loren Kulesus.



Cadillac WTF მომავლის ავტომობილია, რომელიც ბირთვულ საწვავზე მუშაობს და 100 წლის განმავლობაში ტექნიკურ მომსახურებას არ საჭიროებს. ავტომობილის ავტორია დიზაინერი ლორენ კულესუსი.

PHOTOS www.cadillac.com








**...WITH FERODO OE-QUALITY BRAKE PADS !**

Some people go to great lengths to protect their cars and those in it. But very few things can give you the same level of protection and control as Ferodo's OE-quality braking solutions. Ferodo gives you improved stopping distances, strong and consistent brake power and really low noise.

**With Ferodo, you're in control.**

www.ferodo.com

FERODO®

YOU'RE IN CONTROL

☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

It`s Time To Choose Quality...

# TEGETA MOTORS and MOTUL present...

What Tegeta Motors and Motul present together is neither a new service nor a lubricant to protect your automobile engine better; although it definitely has to do with automobiles and their owners. This is a movie that has become a cult film for all car owners and enthusiasts since year 2001. It is the film people expect from year to year.

You probably already figured that the greatest cinema event of 2013 was Fast and Furious 6 coming on big screen. The movie tells the story of Dominic Toretto and his friends to whom automobiles and races are the meaning of life.

The premiere of this movie was held at "Amirani" cinema with the support of Tegeta Motors and Motul. Invited guests, racers and representatives of different automobile clubs attended the screening.

Motul – car oil created particularly for cars operating in extreme conditions and with high workloads is the exclusive presenter of the movie screening in Georgia.

## თეგეტა მოტორსი და მოტული წარმოგიდგენთ...

**ის, რასაც** „თეგეტა მოტორსი" და „მოტული" ერთობლივად წარმოგიდგენთ, სულაც არ არის ახალი სერვისი ან ზეთი, რომელიც თქვენი ავტომობილის ძრავს უკეთესად დაიცავს. თუმცა, რა თქმა უნდა, ის აუცილებლად უკავშირდება ავტომობილებს და მის მფლობელებს. ეს არის ფილმი, რომელიც 2001 წლიდან ავტომობილის ყველა მფლობელისა და ავტომოყვარულისთვის საკულტო ფილმად იქცა; რომელსაც წლიდან წლამდე ელოდებიან.

ალბათ, უკვე მიხვდით, 2013 წლის ერთ-ერთი მთავარი კინო მოვლენა „ფორსაჟი 6"-ს დიდ ეკრანებზე გამოსვლა იყო. ფილმი მოგვითხრობს დომინიკ ტორეტოსა და მის მეგობრებზე, რომელთა ცხოვრების აზრსაც ავტომობილი და რბოლა წარმოადგენს.

სწორედ ამ ფილმის პრემიერა შედგა კინოთეატრ „ამირანში" „თეგეტა მოტორსისა" და „მოტულის" მხარდაჭერით. ჩვენებას წინასწარ მოწვეული სტუმრები, ასევე ავტომრბოლელები და სხვადასხვა საავტომობილო კლუბების წარმომადგენლები დაესწრნენ.

კინოჩვენების ექსკლუზიური წარმომდგენი საქართველოში „მოტულია" – საავტომობილო ზეთი, რომელიც სპეციალურად შექმნილია ექსტრემალურ პირობებში და მაღალ დატვირთვებზე მუშაობისთვის.





PHOTOS Tegeta Motors archive























2013 წლის
ერთ-ერთი მთავარი
კინო მოვლენა
„ფორსაჟი 6"-ს
დიდ ეკრანებზე
გამოსვლა იყო

# Why should you trust VARTA batteries?

We had just returned from the VARTA press-tour when we started working on the first issue of TM Autograph. Johnson Controls' decision about rebranding was timely and essential, we already told you about the company history, a distinctively organized press-tour which was incredibly interesting and we hope you weren't too bored while we traveled through factories and cities of Germany.

Johnson Controls is the company manufacturing batteries. VARTA is its most famous flagship brand. VARTA, the battery which is familiar for you and your automobile for a long time now.

Automobile technologies evolve constantly. VARTA is always on the front line in the process of evolution by offering innovative services, as well as producing world-class batteries. Thanks to its history and experience VARTA is trusted around the world. You can find VARTA production used in different automobile brands. Passenger cars and trucks, motor boats, residential trailers – VARTA is a preference for all of them. Cooperating with leading brands in the automobile-industry is the success formula for VARTA. This company has been collaborating with brands such as: Audi, BMW, Ford, Mercedes-Benz, also Honda, GM ecoflex, HYUNDAI Blue Drive, KIA EcoDynamics, Land Rover, MINI MINIMALISM, SEAT Ecomotive, SMART micro hybrid drive, Volvo DRIVe and others...

VARTA's new slogan reads: "It all starts with VARTA". This means that the brand with almost a century-long history differs from others in battery manufacturing industry.

The issues of climate change and the necessity of reducing the amount of fuel have been challenging the automobile industry greatly. By 2015 most of the

## რატომ უნდა ენდოთ ვარტას აკუმულატორებს?

**TM AUTOGRAPH**-ის პირველ ნომერში VARTA-ს პრესტურიდან ახალი დაბრუნებულები ვიყავით. რებრენდინგი კომპანია Johnson Controls-ის გადაწყვეტილებით დროული და აუცილებელი იყო, მოგიყევით კომპანიის ისტორიაზე, გამორჩეულად ორგანიზებულ პრესტურზე, რომელიც საოცრად საინტერესო იყო და იმედია, არც თქვენ მოგიწყენიათ, სანამ ერთად ვმოგზაურობდით ქარხნებსა და გერმანიის ქალაქებში.

Johnson Controls-ი ის კომპანიაა, რომელიც ბატარეებსა და აკუმულატორებს აწარმოებს. მისი  ყველაზე  ცნობილი ბრენდია VARTA. VARTA, რომელსაც თქვენ და თქვენი ავტომობილი დიდი ხანია,  კარგად იცნობთ.

ავტო ტექნოლოგიები მუდიმვად ევოლუციას განიცდის. VARTA კი, ევოლუციის პროცესში ყოველთვის წინა პლანზეა, როგორც ინოვაციური სერვისების შეთავაზების თვალსაზრისით, ისე მსოფლიო დონის აკუმულატორების შექმნის მხრივ. სწორედ ისტორიისა და გამოცდილების დამსახურებაა, რომ VARTA-ს მსოფლიოში ენდობიან. დღესდღეობით, VARTA-ს პროდუქციის ნახვას სხვადასხვა ტიპისა და მარკის ავტომობილებში შეძლებთ. მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, მოტორული კატერები, ავტომობილები საცხოვრებელი სათავსოებით - თითოეული მათგანი, სწორედ რომ, VARTA-ს ანიჭებს უპირატესობას. ავტოინდუსტრიაში წამყვან ბრენდებთან თანამშრომლობა ვარტას წარმატების ფორმულაა. VARTA თანამშრომლობს ისეთ ბრენდებთან, როგორებიცაა: Audi, BMW, Ford, Mercedes-Benz, ასევე, Honda, GM ecoFLEX, HYUNDAI Blue Drive, KIA EcoDynamics, Land Rover, MINI MINIMALISM, SEAT Ecomotive, SMART micro hybrid drive,Volvo DRIVe და სხვა...

VARTA-ს ახალი სლოგანი ასე ჟღერს: ,,ყველაფერი იწყება VARTA-დან". ეს კი, ნიშნავს იმას, რომ ბრენდი, რომელსაც აკუმულატორების წარმოებაში თითქმის საუკუნოვანი ისტორია აქვს,  გამოირჩევა სხვა ბრენდებისგან.

კლიმატის ცვლილების საკითხი და საწვავის მოხმარების შემცირების საჭიროება საავტომობილო ინდუსტრიას დიდი გამოწვევის წინაშე აყენებს. 2015 წლისთვის ევროპაში გაყიდული და წარმოებული ტრანსპორტის უმეტესონა Start-Stop სისტემით იქნება აღჭურვილი. ყოველთვის, როცა მძღოლი ჩერდება საცობსა თუ წითელ შუქნიშანზე, კონუსის სატერფულიდან ფეხს იღებს  და სიჩქარის გადამრთველს ნეიტრალურ პოზიციაში აგდებს, სისტემა გამორთავს ძრავას. აკუმულატორი თავად უზრუნველყოფს მანქანის სრულ მოთხოვნას ელექტრობაზე,



transport manufactured and sold in Europe will be equipped with the Start-Stop system – each time the driver stops in a traffic jam or at the traffic light, takes his foot off the clutch pedal and positions the gear shift in a neutral position, the system will shut off the engine. The battery will be supplying the entire demand on electricity, the air conditioning system and the radio for example. Once the light turns green, the driver presses the clutch pedal and switches into first gear, the system restarts the engine. This reduces CO2 emissions and ensures fuel efficiency. Ordinary vehicles are equipped with standard batteries which work with relatively small load after the car has been started. Batteries in automobiles with the Start-Stop function are discharged permanently and then recharged. An automobile with the Start-Stop technology requires special Start-Stop batteries. Using inappropriate batteries can cause extra fuel expenditure and increase of CO2 emissions, which nullifies ecological benefits.

Because of the existing market demand, the company has introduced a new product line: Start-Stop Plus which are manufactured with the innovative AGM technology. The auto industry has been giving its preferences to the AGM technology VARTA batteries when

მაგალითად, ჰაერის კონდიცირების სისტემას და რადიოს. როგორც კი ინთება მწვანე შუქი, მძღოლი კონუსის სატერფულს აწვება და მანაქანას პირველ სიჩქარეში აგდებს, სისტემა ხელახლა რთავს ძრავას. ეს უზრუნველყოფს CO2 გამობოლქვის შემცირებასა და საწვავის დაზოგვას. ჩვეულებრივი ავტომობილები აღჭურვილია სტანდარტული აკუმულატორებით, რომელთა ძაბვა მანქანის ამუშავების შემდეგ შედარებით მუდმივი რჩება. სტარტ-სტოპის ფუნქციის მქონე ავტომობილებში აკუმულატორი ჯდება და კვლავ იმუხტება. სტარტ-სტოპ ტექნოლოგიის მქონე ავტომობილს ესაჭიროება სპეციალური სტარტ-სტოპის აკუმულატორები. შეუსაბამო აკუმულატორის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს უფრო მეტი საწვავის გახარჯვა და CO2 გამონაბოლქვის გაზრდა, რაც ანულებს ეკოლოგიურ მოგებას.




ბაზრის მოთხვონის გამო, კომპანიამ პროდუქტის ახალი ხაზი შესთავაზა მომხმარებელს: Start-Stop Plus. Start-Stop Plus-ის აკუმულატორები ინოვაციური AGM ტექნოლოგიებით არის დამზადებული. კლიმატის დაცვის მომავალი სტანდარტების დაკმაყოფილების საკითხში ავტო ინდუსტრია უპირატესობას AGM ტექნოლოგიით დამზადებულ VARTA-ს აკუმულატორებს ანიჭებს. სტარტ-სტოპ ავტომობილების 80% აღჭურვილია VARTA-ს აკუმულატორით.

AGM ანუ Absorbent Glass Mat შემწოვი შუშის ჭილოფია. ამ ტექნოლოგიის საშუალებით აკუმულატორში არსებული მჟავა მთლიანად არის შეწოვილი შუშის ჭილოფისმაგვარი მატერიის მიერ. აკუმულატორში კი, აღარაფერია თხევად მდგომარეობაში. ამ ტექნოლოგიით დამზადებული აკუმულატორები 100%-ით ჰერმეტულია. მისი შემქმნელები გვარწმუნებენ, რომ ნივთიერების გამოჟონვა შეუძლებელია. გამორიცხულია მჟავის სტრატიფიკაციაც, აკუმულატორების ყველაზე გავრცელებული პრობლემა. ასევე, მინიმუმამდეა დაყვანილი აქტიური მასის დაკარგვის საშიშროება. AGM უზრუნველყოფს მდგრადობას ციკლებისადმი (დამუხტვა-განმუხტვა), ჩვეულებრივ აკუმულატორთან შედარებით AGM ტექნოლოგიით დამზადებულ აკუმულატორს 3-ჯერ უფრო მეტი რესურსი აქვს.

it comes to future standards of climate protection. 80% of Start-Stop vehicles are equipped with VARTA batteries.

AGM stands for Absorbent Glass Mat. This technology enables full absorption of the battery acid in the glass mat separator and there's no liquid left in the battery. Batteries manufactured with this technology are 100% sealed. Its creators claim that it's impossible for liquid to leak. There is no chance of acid stratification either, it being the most widespread of automobile issues. The danger active mass loss because of deep cycles has also been reduced to minimum. AGM ensures sustainability towards cycles (charge-discharge), AGM technology batteries have 3 times as much resources compared to ordinary batteries.

This is why VARTA batteries are much more resistant and powerful. This is what distinguishes it and makes it unique.

Start-Stop Plus are the best for police, emergency, hybrid, high performance and premium class automobiles.

### START-STOP PLUS KEY BENEFITS:

– Specifically designed for cars with advanced Start-Stop functionality
– Unrivalled cold cranking power up to 135%
– 3 x higher levels of cyclic endurance than conventional batteries
– State-of-the-art AGM technology developed to meet OE requirements
– Very high deep discharge capability
– PowerFrame® technology for exceptional performance

The Power Frame manufacturing technology that reduces to minimum the danger of corrosion and increases service life of battery should also be noted. It takes 20% less energy to produce plates using this technology. PowerFrame® happens to be the "greenest" method of manufacturing plates.

It's not an accident that VARTA has a century-long history. Neither is the fact that VARTA possesses leading positions throughout the automobile industry evolution process. It is trusted and valued and it always creates new, necessary and useful products. Not a surprise, this is VARTA.

სწორედ ამიტომ, ვარტას აკუმულატორები უფრო მეტად გამძლე და მძლავრია. სწორედ ეს გამოარჩევს და უნიკალურს ხდის მას.

Start-Stop Plus-ის აკუმულატორები საუკეთესოა პოლიციის, სასწრაფო, ჰიბრიდული, მაღალი გამავლობისა და პრემიუმ კლასის ავტომობილებისთვის.




### START-STOP PLUS-ის ძირითადი უპირატესობები:

– სპეციალურად არის შექმნილი იმ ავტომობილებისთვის, რომლებსაც საბაზისო Start-Stop სისტემა გააჩნიათ
– შეუდარებელი ცივი სასტარტერო დენი
– ჩვეულებრივ აკუმულატორზე 3-ჯერ უფრო ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა
– ტექნოლოგია PowerFrame® - გამორჩეული მუშაობისთვის
– ექსტრემალურად ღრმა განმუხტვებისადმი მდგრადობა
– უახლესი AGM ტექნოლოგია, რომელიც აკმაყოფილებს ავტომწარმოებლების მოთხოვნებს

აღსანიშნავია, ასევე Power Frame-ის ფირფიტების დამზადების ტექნოლოგია, რომელიც გამორიცხავს კოროზიის საფრთხეს და უზრუნველყოფს 70%-ით უკეთეს გამტარიანობას. ამ ტექნოლოგიით ფირფიტების წარმოებას 20%-ით ნაკლები ენერგია სჭირდება. გამოდის რომ, PowerFrame® ფირფიტების წარმოების ყველაზე „მწვანე“ მეთოდია.

შემთხვევითი არაა, რომ VARTA-ს საუკუნოვანი ისტორია აქვს. არც ის არის შემთხვევითი, რომ ავტო ინდუსტრიის ევოლუციის პროცესში VARTA მოწინავე პოზიციაზეა. მას ენდობიან, აფასებენ და ისიც ქმნის ახალ, საჭირო და აუცილებელ პროდუქტს. გასაკვირი არცაა, ეს ხომ VARTA-ა.




PHOTOS www.varta.com

BOSCH




☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

It`s Time To Choose Quality...

The first

# ZF Friedrich

workshop in GEORGIA

ZF Friedrichshafen AG, in short, ZF Group is a German company manufacturing spare parts for land, railway and air transport. ZF Group and its product are known worldwide, ZF Group is supplying over 20 countries.



Ferdinand
Graf von Zeppelin

According to 2012 data the Group has accumulated 17.4 billion Euros from sales. ZF Group is currently employing 75 000 people around the world. It is among ten largest companies of the field.

The company was founded in 1915 by Ferdinand von Zeppelin to produce mechanisms for Zeppelins and other airships. The company altered its profile in several years and focused on automobiles. Although the story you come across on the ZF informational webpage starts much earlier, in 1900, when famous German constructors gathered to work with Graf von Zeppelin. The city of Friedrichshafen became Germany's technological center. In July 15 years before the foundation of the company, the first ever airship was tested. Zeppelin soon managed to improve his invention,



## ZF Friedrichshafen AG-ს პირველი სამუშაო შეხვედრა საქართველოში

Main Engineering Center
Schweinfurt

**ZF FRIEDRICHSHAFEN AG**, უფრო მოკლედ კი ZF ჯგუფი გერმანული კომპანიაა. კომპანია სათადარიგო ნაწილებს როგორც სახმელეთო, ისე სარკინიგზო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებისთვის ამზადებს. ZF ჯგუფს და მის პროდუქციას იცნობენ მთელ მსოფლიოში. 20-ზე მეტ ქვეყანას კომპანია ასზე მეტი სახეობის პროდუქტით ამარაგებს.

2012 წლის მონაცემებით, ჯგუფის მიერ გაყიდვებით მიღებულმა თანხამ 17,4 მილიარდი ევრო შეადგინა. ZF ჯგუფი მსოფლიოს გარშემო 75 000 ადამიანს ასაქმებს და ამ სფეროში მომუშავე ათ ყველაზე მსხვილ კომპანიას შორის არის.

ჯგუფი 1915 წელს, გერმანელმა ფერდინანდ ფონ ზეპელინმა დაარსა. მისი მიზანი დირიჟაბლისა და სხვა სახის საჰაერო ხომალდისთვის მექანიზმის შექმნა იყო. რამდენიმე წელში კომპანიამ პროფილი შეიცვალა და მთავარი ყურადღება ავტომობილებისკენ მიმართა. თუმცა, ისტორია, რომელსაც ZF-ის საინფორმაციო გვერდზე შეხვდებით, ბევრად უფრო ადრე, 1900 წელს დაიწყო, როცა გერმანიის ცნობილი კონსტრუქტორები გრაფ ფონ ზეპელინთან სამუშაოდ შეიკრიბნენ. ქალაქი Friedrichshafen-ი გახდა გერმანიის ტექნოლოგიური ცენტრი. ივლისის თვეში, კომპანიის დაარსებამდე 15 წლით ადრე, პირველი დირიჟაბლის გამოცდა შედგა. ზეპელინმა მალე მოახერხა გამოგონების დახვეწა, თუმცა მეორე მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. „ჰაერის გიგანტები" – ასე ეძახდნენ იმ დროს დირიჟაბლებს გერმანიაში. ფონდებმა კი ზეპელინის ფინანსური მხარდაჭერა დაიწყეს. თავად გრაფ ზეპელინს, ისევე როგორც მის გარშემო გაერთიანებულ კონსტრუქტორებსა თუ ფონდებს, დირიჟაბლთან დაკავშირებით შორს მიმავალი გეგმები ჰქონდათ.



# shafen AG

although the second attempt was unsuccessful. Airships were called Air Giants in Germany at the time. Different foundations started to support Zeppelin financially. Graf Zeppelin, constructors and foundations all had great plans for airships.

The great LZ 127 Graf Zeppelin
Los Angeles, California, 1929




Dr. Stefan Sommer is currently at head of ZF Group. There are seven other members in the company board. They all have different responsibilities.

You will find ZF Group in 27 countries worldwide: Albania, Austria, Bosnia, Belgium, France, Germany, Ireland, Italy, UK, Macedonia, Luxemburg, Kosovo, Ukraine, Turkey etc. It's represented all over the world with automobiles, land and maritime transport making ZF Group products global and "boundless".

Tegeta Motors is the strategic partner of the ZF Group in Georgia. In 2012 the traditional ZF workshop was held in Georgia for the first time.

### MALKHAZ JIMSHIASHVILI

Representative for Tegeta Motors:

"The ZF concern is one of the giants of the world automobile industry. The company manufactures spare parts not only



Assembly of 8-speed automatic transmission produced at the ZF Saarbrücken plant

ამჟამად ZF ჯგუფს Dr. Stefan Sommer-ი ხელმძღვანელობს. კომპანიის კოლეგიაში მის გარდა შვიდი წევრი შედის. მათ სხვადასხვა პასუხისმგებლობები აკისრიათ.

ZF ჯგუფს მსოფლიოს 27 ქვეყანაში შევხდებით: ალბანეთში, ავსტრიაში, ბოსნიაში, ბელგიაში, საფრანგეთში, გერმანიში, ირლანდიაში, იტალიაში, გაერთიანებულ სამეფოში, მაკედონიაში, ლუქსემბურგში, კოსოვოში, უკრაინაში, თურქეთში და ა.შ. ის არის თითქმის მთელ დედამიწაზე. ხოლო ავტომობილები, სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტი ZF ჯგუფის პროდუქციას გლობალურსა და „უსაზღვროს" ხდის.

საქართველოში ZF-ის სტრატეგიული პარტნიორი კომპანია „თეგეტა მოტორსია". 2012 წელს ZF-ის ტრადიციული სამუშაო შეხვედრა საქართველოში პირველად გაიმართა.

### მალხაზ ჯიმშიაშვილი

„თეგეტა მოტორსის" წარმომადგენელი:

„კონცერნი ZF-ი მსოფლიოს ავტოინდუსტრიის ერთ-ერთი გიგანტია. კომპანია აწარმოებს ავტომობილის ნაწილებს, არა მარტო მსუბუქი ავტომობილებისათვის, არამედ სატვირთო და კომერციული ავტოტრანსპორტისთვის. ჩვენ რამდენიმე წელია, ვთანამშრომლობთ აღნიშნულ კონცერნთან და გასულ წელს ჩვენმა ბრუნვებმა სერიოზულ თანხებს მიაღწია, რითიც ძალიან დაინტერესდნენ ZF-ის წარმომადგენლები. აღნიშნული ღონისძიება ყოველ წელს, კიევში იმართებოდა. ეს პირველი ინციდენტია, როდესაც საქართველოში ZF-ის შემაჯამებელი შეხვედრა იმართება. იმედი გვაქვს, რომ ანალოგიური შეხვედრების ჩატარება საქართველოში ტრადიციად იქცევა".











for passenger cars, but also trucks and commercial vehicles. We have been co-operating with this company for several years and the increase in our revenue in the past year has caused great interest among ZF representatives. This event was held annually in Kiev and this is the first case when the ZF summary meeting takes place in Georgia. We hope arranging such meetings in Georgia will become a tradition."

Representatives of all partnering companies attended the traditional ZF workshop. The achievements of the year 2012 and future plans were main subjects of discussion.

### CHRISTOPH HALL

ZF Service Regional Manager:

"This is a traditional meeting that has been taking place in different countries for 9 years, although it's the first time Tbilisi is hosting. Representatives of all ZF partnering companies are here today. We have discussed the achievements from 2012 and future plans together with the participants of the meeting."

Top management representatives of world's leading automobile companies arrived from Germany, Austria, Kazakhstan, Ukraine, Russia, Azerbaijan and other countries particularly for this meeting.




ZF-ის ტრადიციულ სამუშაო შეხვედრას მისი ყველა პარტნიორი ორგანიზაციის წარმოადგენელი ესწრებოდა. მთავარი თემა 2012 წლის მიღწევები და სამომავლო გეგმების განხილვა იყო.

### კრისტოფ ჰანი

ZF service-ის რეგიონალური მენეჯერი:

„ეს არის ტრადიციული შეხვედრა, რომელიც 9 წელია, სხვადასხვა ქვეყნებში იმართება. თბილისი ჩვენი მასპინძელი პირველად არის. დღევანდელ შეხვედრას ZF-ის ყველა პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი ესწრება. შეხვედრის მონაწილეებთან ერთად განვიხილეთ 2012 წლის მიღწევები და სამომავლო გეგმებზეც ვიმსჯელეთ".

საქართველოში სპეციალურად ამ შეხვედრისთვის ჩამოვიდნენ საავტომობილო სფეროში მოღვაწე მსოფლიოს წამყვანი კომპანიების ტოპ მენეჯმენტის წამომადგენლები გერმანიიდან, ავსტრიიდან, ყაზახეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და სხვა...

